

თავი 4 სასურსათო პოლიცია

დატკეპნილი და ატალახებული ბილიკი სულ მალე ხრეშით მოფენილ სოფლის გზას შეუერთდა. ჯუნგლების ნაცვლად ჯონათანის თვალწინ ქარით აშრიალებული ბარაქიანი საძოვრები, ხორბლის მოსავლით მდიდარი მინდორ-ველი და ხეხილის ბაღები გადაიშალა. ამ სიმდიდრის დანახვაზე გაახსენდა, რომ თითქმის არაფერი ეჭამა. მან გზიდან გადაუხვია და კოხტა თეთრი სახლისკენ გაეშურა. ჯონათანს იმედი ჰქონდა, რომ გაარკვევდა სად იმყოფებოდა და საკვებსაც მოიპოვებდა.

სახლის აივანზე ახალგაზრდა ქალი და პატარა ბავშვი შენიშნა, რომლებიც ჩახუტებულები ისხდნენ და გულამოსკვნით ტიროდნენ.

– უკაცრავად, – მორიდებულად თქვა ჯონათანმა, – მოხდა რამე?

ქალმა აცრემლებული თვალებით ახედა მას:

– ო, საბრალო ჩემი ქმარი! – აქვითინდა ქალი, – მე ვიცოდი, რომ ყველაფერი ასე დამთავრდებოდა. ის სასურსათო პოლიციამ დააკავა.

– ძალიან ვწუხვარ, ქალბატონო. რა ბრძანეთ – სასურსათო პოლიციამ? – იკითხა ჯონათანმა და თანაგრძნობით ბავშვს თავზე ხელი გადაუსვა. – რატომ დააკავეს?

ქალმა სიბრაზისგან კბილები გააკრაჭუნა, ცრემლების შეკაფება სცადა და ირონიულად უპასუხა:

– მას დიდი მოსავლის მოყვანაში სდებენ ბრალს.

ჯონათანი გაოგნდა. ეს კუნძული ნამდვილად ძალზე უცნაური ადგილი იყო!

– განა უხვი მოსავლის მოყვანა დანაშაულია?

– შარშან სასურსათო პოლიციამ გამოსცა ბრძანება, რომლითაც განისაზღვრებოდა, მოსავლის რა ოდენობით მოყვანა და რა ფასში გაყიდვა შეეძლო ჩემს ქმარს. მათი განცხადებით, დაბალი ფასები ზიანს მიაყენებდა სხვა ფერმერებს, – განაგრძო ქალმა და სიმწრით ტუნზე იკბინა, – ჩემი ქმარი საუკეთესო იყო ფერმერთა შორის. მას ბადალი არ ჰყავდა!

უეცრად ჯონათანის ზურგს უკან ვიღაცამ გადაიხარხარა. ახმახი კაცი მედიდურად მიემართებოდა ფერმერის სახლისკენ.

– ოჰო! მე კი მგონია, რომ საუკეთესო ფერმერი ისაა, ვინც ფერმას ფლობს, არ მეთანხმებით?

მამაკაცმა მრისხანედ გადახედა ქალსა და მის შვილს და უბრძანა:

– ახლავე მოხვეტე შენი ბარგი და აქედან წაეთრიე! ლორდთა საბჭომ ეს მიწა მე მიბოძა.

მან აივანზე დაგდებულ სათამაშო ძაღლს სტაცა ხელი და ჯონათანს შეაჩეხა:

– მგონი, ამ ქალს შენი დახმარება დასჭირდება, მეგობარო! გაეცალეთ აქაურობას, ახლა ეს ჩემი საკუთრებაა!

ქალი წამოდგა. მას გააფთრებისგან თვალები უელავდა:

– ჩემი ქმარი საუკეთესო ფერმერი იყო. შენ მას ვერასოდეს შეედრები!

– ეს კიდევ საკითხავია, – ჩაიხითხითა კაცმა, – რა თქმა უნდა, მისი საქონელი საუცხოო იყო და მან ზუსტად იცოდა, რა დაეთესა და მოეყვანა მომხმარებელი რომ დაეკმაყოფილებინა. აი ეს მესმის! მაგრამ, მას დაავიწყდა ერთი რამ – აქ ლორდთა საბჭო ადგენს მოსავლის ოდენობასა და ფასებს. სასურსათო პოლიცია კი აკონტროლებს ამ დადგენილებების შესრულებას.

– შენ ნამდვილი მუქთახორა ხარ, – იყვირა ქალმა. – ყოველთვის ცდები შენს გათვლებში, ანიავებ ხარისხიან სასუქს, თესავ ყველაფერს, რაც იზრდება, მაგრამ არავის სურს შენი მოსავლის შექენა. შენ თესავ დატბორილ ველზე და დამშრალ თიხიან ნიადაგზე და შენთვის სულერთია, მოიძიე მოსავალს თუ არა. ლორდთა

საბჭოს დამპალ მოსავალშიც ახდევინებ ფულს. მგონი, იმაშიც კი გიხდიან, რომ მოსავალი გაანადგურო.

– მაშ რა მნიშვნელობა აქვს, კარგი ფერმერი იქნები თუ არა? – წარბი შეკრა ჯონათანმა.

– დიდი უბედურებაა იყო კარგი ფერმერი, – თქვა ქალმა და სიბრაზის აღმურმა გადაჰკრა. – ამ გომბეშოსგან განსხვავებით, ჩემი ქმარი არ ეპირფერებოდა ლორდთა საბჭოს და მოსავლის მოყვანასა თუ რეალურ ფასად გაყიდვასაც პატიოსნად ცდილობდა.

ახმახმა ქალსა და ბავშვს ხელი ჰკრა და აივნიდან გააგდო.

– კმარა! მან უარი თქვა წლიური ნორმის შესრულებაზე. სასურსათო პოლიციისთვის წინააღმდეგობის გაწევა ჯერ არავის შერჩენია. ახლა კი ჩემს მიწას გაეცალეთ!

ჯონათანი დაეხმარა ქალს ბარგის გაზიდვაში. ქალი და ბავშვი ნელ-ნელა შორდებოდნენ თავიანთ ყოფილ სახლს. ისინი შეჩერდნენ გზის მოსახვევში, რათა უკანასკნელად შეეველოთ თვალი სახლისა და ბედლისათვის.

– ახლა რა გეგლით? – იკითხა ჯონათანმა.

– ძვირადღირებულ სურსათს ვერ გავწვდები, – სიმწრით ამოიოხრა ქალმა,

– საბედნიეროდ, გვყავს ნათესავები და მეგობრები, რომელთაც შემოიძლია დახმარებისთვის მივმართო. წინააღმდეგ შემთხვევაში, ლორდთა საბჭოს იმედად დავრჩებოდით, რაც მათ ფრიად ესიამოვნებოდათ.

მან აიღო მოზრდილი ტომარა და ხელი მოჰკიდა ბიჭს, – წამოდი, დეივი...

ჯონათანმა ხელი მუცელზე იტაცა. თავს იმდენად ცუდად გრძნობდა, რომ შიმშილი სრულიად გადაავიწყდა.